ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

Batumi Shota Rustaveli State University
Students Self-Government

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფოუნივერსიტეტის რექტორს

ბატონ მერაბ ხალვაშს

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის

ბექა მაკარაძის

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 31 მაისს გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველოს საერთო კრება. განსახილველ საკითხთა შორის დღის წესრიგში იყო სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების საკითხიც, სადაც საერთო კრების მიერ იქნა გადაწყვეტილება მიღებული, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო დებულების მეთერთმეტე მუხლის მეოთხე პუნქტით სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზება-ჩატარება უზრუნველყოს ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ.

გთხოვთ, გაგვიწიოთ შესაბამისი დახმარება და უზრუნველვყოთ არჩევნების ჩატარება, გაეგზავნოს განკარგულება N 007 ბსუ-ს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ბსუ-ს ფაკულტეტებს და მოხდეს მათი განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და საინფორმაციო დაფებზე.

დანართის სახით იხილეთ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის განკარგულება N 007.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი: ბ.მაკარაძე

05.06.2017

ნინოშვილის №35. აუდ 18. ტელ: (577) 179743 E-mail: tvitmmartveloba@bsu.edu.ge

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა

Batumi Shota Rustaveli State University
Students Self-Government

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი

განკარგულება N 007

05 ივნისი, 2017 წ.

ქ. ბათუმი

ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების გამოცხადების შესახებ

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის N 40 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის საერთო კრების 2017 წლის 31 მაისის N1 ოქმისა და ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის დებულების მე-12 მუხლის საფუძველზე:

1. განისაზღვროს ბსუ-ს სტუდენტური თვითმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი და კვოტა ფაკულტეტების მიხედვით:
   ა) ტექნოლოგიური ფაკულტეტი - 2017 წლის 26 ივნისი, კვოტა 13 სტუდენტი.
   ბ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2017 წლის 27 ივნისი, კვოტა 5 სტუდენტი;
   გ) იურიდიული ფაკულტეტი - 2017 წლის 27 ივნისი, კვოტა 5 სტუდენტი;
   დ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი - 2017 წლის 28 ივნისი, კვოტა 10 სტუდენტი;
   ე) ტურიზმის ფაკულტეტი - 2017 წლის 28 ივნისი, კვოტა 4 სტუდენტი;
   ვ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი - 2017 წლის 29 ივნისი, კვოტა 19 სტუდენტი;
   ზ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2017 წლის 29 ივნისი, კვოტა 9 სტუდენტი;

ნინოშვილის №35. აუდ 18. ტელ: (577) 179743 E-mail: tvitmmartveloba@bsu.edu.ge

თ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი - 2017 წლის 30 ივნისი, კვოტა 24 სტუდენტი;
ი) განათლების ფაკულტეტი - 2017 წლის 30 ივნისი, კვოტა 6 სტუდენტი;

2. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში (მისამართი ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ №35, ოთახი N13) 2017 წლის 07 ივნისიდან – 2017 წლის 21 ივნისის ჩათვლით, უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე; (არჩევნების დღეს კენჭისყრა იწყება 10.00 საათზე და მთავრდება 17.00 საათზე).

3. კანდიდატმა რეგისტრაციის გასავლელად კომისიას უნდა წარუდგინოს:
   ა) პირადობის დამადასტურებელი საბუთის ასლი;
   ბ) ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან - საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო წლისა და სემესტრის მითითებით;
   გ) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე (ივსება ადგილზე).
4. ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს ეთხოვოთ არჩევნებისთვის შესაბამისი ოთახების გამოყოფა და ამომრჩეველთა სიების წარდგენა ბსუ-ს საარჩევნო კომისიაში 2017 წლის 21 ივნისის ჩათვლით (აქტიური საარჩევნო უფლების მქონე სტუდენტთა სია).
5. განკარგულება ჩაბარდეთ ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანებს.
6. განკარგულება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სტუდენტური თვითმართველობის
პრეზიდენტი ბექა მაკარაძე